



პრესრელიზი

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფმა ჰოსპიტალური სექტორის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ამბროლაურის მრავალპროფილური საავადმყოფოს რეაბილიტაცია დაასრულა.

2011 წლის 16 ივნისს შედგება ამბროლაურის საავადმყოფოს გახსნის ცერემონიალი. ცერემონიას გახსნის საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

ქალაქ ამბროლაურის 25 საწოლიანი საავადმყოფო აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტექნიკით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელიც ამბროლაურის მოსახლეობას უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით.

ინოვაციური პროექტი, რომელიც სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის მიერ აშენებულ საავადმყოფოებში განხორციელდება, არის ტელემედიცინის, თანამედროვე მედიცინის მიმართულების დანერგვა. ტელემედიცინის მთავარ მიზანს პაციენტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარისხის ამაღლება წარმოადგენს. ადგილობრივ ექიმებს, აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებით საშუალება ექნებათ დაუკავშირდნენ სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის კონსულტანტებს საქართველოსა და უცხოეთის წამყვან კლინიკებში და შეაჯერონ ინფორმაცია პაციენტის დიაგნოზისა და მკურნალობის შესახებ. კონსილიუმს და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს რეგულარული ფორმა ექნება. ამბროლაურის საავადმყოფოში დაინსტალირდა საექსპერტო კლასის ციფრული რენტგენოგრაფია / სკოპიის აპარატურა, რაც მონაცემთა ინტერაქტიული ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

კიდევ ერთი სიახლე - საქართველოს სხვადასხვა რაიონში აი სი ჯგუფის მიერ აშენებულ საავადმყოფოებში მაღალკვალიფიციური ექიმების მიერ პერმანენტულად განხორციელდება მოსახლეობის უფასო გამოკვლევის აქციები. პირველი აქცია ახლადგახსნილ ამბროლაურის საავადმყოფოში ეპილეფსიის ცენტრის ექიმების მონაწილეობით ჩატარდება და გაგრძელდება სამი დღე.

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი ჰოსპიტალური განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს კიდევ შვიდ რეგიონში ახორციელებს საავადმყოფოების მშენებლობის პროექტს: ხაშური, ონი, ცაგერი, მესტია, ჩხოროწყუ, დმანისი, ბოლნისი. აქედან მესტიის საავადმყოფოს ნაწილი უკვე ექსპლუატაციაშია, ხოლო დანარჩენი რეგიონის საავადმყოფოების გახსნა დაგეგმილია 2011 წლის ბოლომდე.